15 ს ნოემბერს — ჩელიწადი მეორე. — 1884 წელსა.

# მწყემსი

№ 22.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგ... ნა გახალ... ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგ... ...ამა. შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის ...ეს რედაქციაში, დაბა ყვირილაში. Въ мъстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси" (Пастырь).

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ...თვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ. ...ტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კო...რასპ...იები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებ... ...სტომა...ონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბე... სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარ... ...ზე დაებრუნოს.

სტატი... ...კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: კვირა უქმე დღეებში განსვენების შესახებ. (დასასრული).—ქართული ენის სწავლების შესახებ.— ახალი ვალდებულება ჩვენი სამღვდელოებისა.—...ტიკური მნიშვნელობა ამბროსი ნეკრესელის ქადაგებათა.— ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში XV... ...ურნალ-გაზეთთაგან.— სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.— ანგარიში შემოსავალ-გასავლისა ქუთაისის სასულიე... სასწავლებლისა 1883 წლისა.—განცხადება.

## კვირა-უქმე დღეებში განსვენების შესახებ.

II.

(დასასრული) *)

Ⴄრთს ვაჭარს სამძღვარ გარეთ ზღვით თევზები მიქონდა ერთ ზღვის პირა ქალაქში. ხომალდმა დაიგვიანა და ნავთ საყუდელში შესვლა კვირა დილას მოუხდა. ამ ვაჭარმა მოიმდომა თავისი სავაჭროს გამოტანა კვირა დილას და გაყიდვა; ჯერეთ მუშები ვერ იშოვა თევზის გამოსაზიდავად და ბოლოს მუშები თუმცა იშოვა, მაგრამ ხალხმა არ მისცა ნება კვირა დღეს მუშაობისა. ამ ვაჭარმა მიაშურა პოლიციას და პოლიციით უნდოდა გაეფანტა ხალხი, მაგრამ ძლიერ მოსტყუვდა. შეგროვილმა ხალხმა ისეთი წინაღმდეგობა გაუწია პოლიციას, რომ იგი ვერა ფერ ღონეს ვერ გახდა და ხომალდი ხმელეთის პირზე არ მოაყენებიეს.

Ⴙვენში ამას ხალხი ვერ გაბედავს; ამისთანა საქციელისათვის კარგადაც დასჯიან, თუ მართლა გაბედა ვინმემ და უქმის დამრღვევს კვირას მუშაობა დაუშალა. ჩვენში ყველა წეს-წყობილება ხელს უწყობს კვირის დამრღვევს და უწებლიეთ აიძულებს მას უქმე დღეს იმუშაოს და ეკკლესიაში არ წავიდეს.

Ⴜინეთ არც ერთი მოსამართლე და გამომძიებელი კვირა დღეს საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა; იცოდა კარგად, რომ ამ დღეს ყველანი ეკკლესიაში სალოცავად წავიდოდნენ და არ ეცლებოდათ. ეხლა? რაც ჩვენი სოფლის სასამართლოები და მამასახლისები დაარსდნენ ყველა საქმეები თითქმის კვირა დღეს ირჩევიან. ერთი მცირე უბრალო საქმისათვის შეკრებავენ ხალხის ყრილობას. ეს ყრილობაები უთუოდ კვირა დღეს უნდა მოახდინონ. მღვდელი ეკკლესიაზედ რეკს ზარებს და იწვევს ხალხს წირვის მოსასმენად. სოფლის ნაცვალი და იასაულები ხალხს კანცელარიისკენ რეკავს; „თითო მანეთით დაიშტრაფებით, თუ ყრილობაზე არ გამოცხადდით კანცელარიაში", ეუბნება იასაული მათ. ხალხი მთე-

*) იხილე „მწყემსი" № 21.

ლი დღე რჩება ყრილობაზე და საღამოს უკან ბრუნდება არაფრის გამკეთებელი. თუ ყრილობა არ არის დანიშნული სოფლის მოსამართლეები მაინც იბარებენ ხალხს; მომჩივან მოპასუხეთა მოჰყავთ მოწმები და სხვა მაყურებლებიც ბლომათ არიან კანცელარიებში. კვირაობით ყველა სოფლის კანცელარიებში და სასამართლოებში გასაოცარი ხალხის შეკრებილება არის. ამ სამწუხარო მოვლენის გამო სასულიერო მთავრობამ სთხოვა სახორციელო მთავრობას, რომ აეკრძალათ ხალხის შეკრება კვირა უქმე დღეებში და საქმის წარმოებაც სოფლის სასამართლოებში სოფლის მოხელეთაგან. გუბერნატორებმა, მართლა, მოახდინეს ამაზე განკარგულება და მისწერეს, რომ სოფლის სასამართლოებში კვირა-უქმე დღეებში საქმის გარჩევა, ან ხალხის შეკრება არ მომხდარიყო წირვის გამოსვლადმდე. ამ განკარგულებას, სამწუხაროდ, არა ვითარ[...] ნაყოფი არ მოუტანია. ხალხი ისე დაახლოებ[...] მან[...]როდი სცხოვრებს სოფლის კანცელარიე[...] [...]ამ ნაწირვებს შეეძლოს მისვლა. ხშირად ს[ოფ]ლები ათი ვერსტით არის მოშორებული სოფლის კანცელარიებს და ნაწირვებს რომ წავიდეს, ვერც კი მისწრებს საღამომდის.

წილეთ ეხლა ქალაქები და დააკვირდით ხალხის ცხოვრებას. რაები ხდება კვირა დღეს? კვირა დღეს ქალაქებში არის პირველი ვაჭრობა გამართული; ამ დღეებში აქვსთ მხოლოდ შემოსავალი სამიკიტნო დუქნებს და ვაჭრებს. ვინ არის ყურის მგდებელი და დამშლელი, რომ ამ დღეს ვაჭრებს ვაჭრობის ნება არ მისცეს. კანონებში სწერია: „ეკკლესიების სიახლოვეს ორმოც საჟენზე სამიკიტნო დუქნების გახსნა არ შეიძლება“. პოლიცია აქცევს ამას ყურადღებას? ორმოც საჟენზე კი არა, ზოგიერთ ადგილას ოც საჟენზე და ნაკლებზედაც გაუხსნიათ სასმელების დუქნები ეკკლესიებზე და რაებს ჩადიან, მხოლოდ ერთმა ღმერთმან უწყის. ერთი სიტყვით, ეხლანდელ წეს-წყობილებაში მრავალნი რამ არიან, რომელნიც აიძულებენ ქრისტიანებს კვირა-უქმე დღეების დარღვევას და ეკკლესიებში წაუსვლელობას.

ეკკლესია არის სასწავლებელი. ეს სასწავლებელი—ეკკლესია განსხვავდება სხვა სასწავლებელთაგან მით, რომ ამ სასწავლებელში — ეკკლესიაში მიდის არა მარტო პატარები, არამედ ყველა: დიდი და პატარა, ნასწავლი და უსწავლელი და ყველა წოდების ხალხი. ამ სასწავლებელში ერთად იღებენ ყველანი ზნეობრივ სწავლას და სულიერ საზრდოს. ამ სასწავლებელში ყველა ერთად იღებს ნუგეშს. აქ უცხრება ყველას ქვეყნიური შფოთისა და ღელვისაგან აღძრულნი ცუდის გულის თქმანი და ბოროტნი განზრახულებანი. ეკკლესიიდამ გამოდიან ხშირად შერიგებულნი ერთი ერთმანეთზე გადამტერებულნი პირნი. იკლო ხალხის სიარულმა ამ დიდ სასწავლებელში—ეკკლესიაში, და მოაკლდა იგი ზნეობრივი სწავლის სმენას ეკკლესიებში; მაგრამ ამისთანა მოვლენას ძლიერ მალე მოჰყვა თავისი შესაფერი შედეგებიც. სადაც გაივლით და ვისაც შეხვდებით ყველა შემოგჩივის ზნეობის დაცემას და ეხლანდელი დროის გახშირებულ ცუდ ხალხთა საქციელს. აქ უნდა ვსთქვათ, სამწუხაროდ, რომ არა მარტო [...] უქმე დღეების დარღვევა არის მიზეზი ხა[...]კლესიებში სიარულის მოსპობისა; არა მა-[...]ეს არის მიზეზი, რომ ამ დიდ სასწავლებელში [...]ეკკლესიაში ხალხი ვერ იმოძღვრება და ვერ იღებს [...]ეობრივ განათლებას ჯეროვანად. აქ სხვა მიზეზებიც ბევრია, რომლებზედაც ჩვენ შემდეგში მოვილაპარაკებთ.

დრო არის ამ სამწუხარო მოვლინებას ყურადღება მიაქციონ იმათ, ვისაც რიგია. ყოველ საზოგადო გაჭირვების დროს ხალხისთვის მიუმართავსთ და, გასაკვირველია, რომ ხალხს იმისთანა რამ მოუფიქრებია გაჭირვებისაგან დასახსნელად, რომელიც „ჩინოვნიკებს“ აზრათაც არ მოსვლიათ თავში. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხალხი უფრო მოაგვარებს ამ საქმეს და იხმარს, მთავრობის ხელმძღვანელობით ჯეროვანს ღონეს, რომ არავისგან კვირა-უქმე დღე არ იქმნეს დარღვეული.

---

## ქართული ენის სწავლების შესახებ.

როდესაც თბილისში არსებობდა ესრედ წოდებული „კეთილ-შობილთა“ სასწავლებელი, (ეხლა პირველი გიმნაზია) მაშინ ქართული ენა ისრე პატივ-ცემული იყო, როგორც სხვა ენები: რუსული, თათრული, ძველი და ახალი ენები. იმ დროის პროგრამა კარგ გზაზე იდგა. იმ პროგრამით ხალხს უნდა შეესწავლა თავისი ენა და მერმე სხვისი. მაგრამ ამ პედაგოგიურ პრინციპმა დიდ-ხანს ვერ გასტანა. დროთა ვითარებამ ქართული ენის ბედ-იღბალი შესცვალა. ქართული ენა პროგრამაში დარჩა მარტო სახელად. ვისაც სურდა, ისწავლიდა და ვისაც არა—ძალას ვინ დაატანდა? ეგ'რეთ მიმდინარეობდა ქართული ენის საქმე სასულიერო და სახორციელო სასწავლებლებში წასულ წლამდის. წასულ წელში კი ქართული ენის

ბედ-იღბალი შესცვალა ერთმა რუსის გამოჩენილმა პედაგოგმა; მან იშუამდგომლა უმაღლეს სასულიერო მთავრობის წინაშე, რომ ქართული ენა აუცილებელ საგნად ჩაერიცხათ ყოველ სასულიერო სასწავლებელში. უმაღლესი სასულიერო მთავრობაც დათანხმდა ამაზე და ქართულ ენას მიეცა ისეთი პატივი, როგორიც მას შეჰფერის. აღსრულდა წერილის სიტყვები: „პატივსა პატივი და სახარკოსა ხარკი“. ამ სიტყვებს მაშინ ექმნება ჩვენთვის ნამდვილი ფასი, როდესაც იმის აზრს სისრულეში მოვიყვანთ. დღეს დღეულად კი ეს სიტყვები ჩვენი დედა ენის შესახებ სისრულეში ვერ მოდის. ჩვენ არც გამოკვლეული პროგრამა გვაქვს და არც განსაზღვრული სახელმძღვანელოები. წასულ წელშივე, როდესაც ქართული ენა გახადეს აუცილებელ საგნად, უმაღლესმა სასულიერო მთამთავრობამ მოითხოვა ქართული ენის პროგრამა. როგორც იყო, პროგრამა შეადგინეს და წარუდგინეს უმაღლეს მთავრობას დასამტკიცებლად, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი არ ვიცით: დამტკიცდა პროგრამმა, თუ არა. მოგახსენებთ აქ მოკლედ ამ პროგრამის შინაარსს. პროგრამის ძალით უმთავრესი ყურადღება მასწავლებელისა უნდა იყოს მიქცეული სასულიერო ლიტერატურაზე, ვინემ სახორციელოზე. პირველ ოთხ კლასში ყმაწვილმა რიგიანად უნდა შეისწავლოს საღმ'თო წერილის კითხვა, რასაკვირველია, გაგებით. წინეთ მიღებული იყო ხოლმე, რომ დავითნი უნდა ესწავლათ მოწაფეებს პირველ ოთხ კურსის განმავლობაში; მაგრამ პროგრამის შემადგენელთა ნახეს, რომ მარტო დავითნი არ კმარა და არც მისი კითხვა ვარგა პირველ ორ კლასში, რადგანაც მოსწავლენი ვერ გაიგებენ წაკითხულს. ამისთვის იმათ ამჯობინეს მოსწავლეთათვის შესწავლა ამორჩეული ადგილებისა დაბადებიდგან. ამ წიგნში განსაკუთრებითი ყურადღება უნდა იქმნეს მიქცეული იმ ადგილებზე, სადაც არის ლაპარაკი მოსეზე, აარონზე, ისუს-ნავინზე, სოლომონ ბრძენზე—საზოგადოთ სადაც იხატება თეოკრატიული (ღვთაებრივი) მმართველობა ებრაელთა. სახარებიდგან კი უნდა შეისწავლონ ის ადგილები, სადაც არის აღწერილი ქრისტეს შობა, აღზრდა და სწავლა. საერო ლიტერატურიდგან განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციონ მასწავლებლებმა თანა-მედროვე მწერლებს; შეასწავლონ მათ საკითხავი სტატიები, ლექსები და არაკები. რასაკვირველია, არ უნდა უკუაქციონ ძველი დროის მწერლები და იმათი თხზულებანი.

ქართული გრამატიკიდგან განსაკუთრებითი ყურადღება უნდა იქმნეს მიქცეული პირველად ლექსთა თხზულებაზე (**синтаксисъ**) და მერმე ლექსთა-წარმოებაზე (**этимологія**); კანონიერი წერა (**орѳографія**) რომელიც ქართულს ენაზე არ შეადგენს „ლოდსა წამამტვრეველსა.“ პროგრამა თხოულობს ეგრეთვე საეკკლესიო გრამატიკის შესწავლას. *)

საძნელო საქმე არის ჩვენთვის ეგრეთვე სახელმძღვანელოების უქონლობა, დღეს შემოღებული სახელმძღვანელოები — ბუნების კარი და კუნწულა სრულიად ვერ დააკმაყოფილებენ პროგრამის მოთხოვნილებას, თუმც ისინი საკითხავ წიგნებად ძლიერ გამოსადეგნი არიან ოთხ კლასამდის. ამისთვის ძლიერ საჭირო არის, რომ ამ მოკლე ხანში შესდგეს ერთი სახელმძღვანელო წიგნი. ეს წიგნი უნდა იქმნეს ან „ქრისტომატია“ და ან „საქართველოს ლიტერატურის მიმოხილვა,“ სადაც უნდა იქმნეს განხილული შესანიშნავი სასულიერო და სახორციელო მწერლები ძველი და ახალი დროისა თავისი თხუზულებაებით, რასაკვირველია, რომლებიც უფრო საყურადღებოა. ქრისტომატიის შემადგენელმა არას გზით ან უნდა დაივიწყოს საეკკლესიო გრამატიკა, თორემ მის ქრისტომატიას არც ფასი ექმნება და არც მსვლელობა.

ზოგ მასწავლებელს ჰგონია, რომ რომელიმე ენის სწავლების დროს თავის გემოზე უნდა გაიაროს. მაგრამ ამისთანა მსჯელობას აქ არ აქვს ადგილი. ყოველი საგნის შესწავლა უნდა მიდიოდეს ფიცხლად განსაზღვრული პლანით. მაგრამ ყველა როდის აქცევს ამას ყურადღებას. ზოგი მასწავლებელთაგანი ქართული ენისა დასჯდომია „ვეფხვის ტყაოსანს“, როგორც კრუხი გამოსაჩეკ კვერცხებს, და არ შორდება. იმას გაუგონია და თვითონაც ჰფიქრობს, რომ რუსთაველი გამოჩენილი მწერალი იყო მე 12-ტე საუკუნეში და მაშა სადამე სულ მისი თხზულება უნდა ვისწავლოთო. ეგ მართალია, რომ შოთა რუსთველი დიდი და გამოჩენილი მწერალი იყო; ის უკვდავია ჩვენში, მაგრამ პირველ ოთხ კლასის მოსწავლეთათვის ის სწორედ მკვდარია. შოთას ღრმა ენა და პოეზია, ჰაზრები და გამოთქმანი სწორედ ძნელი გასაგებია. მეოთხე კლასის მოსწავლეთათვის კიდევ შეიძლება ამოარჩიოს ამ წიგნიდამ მასწავლებელმა ზოგი ადგილები შესასწავლად, მაგრამ მარტო ვეფხვის ტყაოსნის შესწავლაზე მაინც არ უნდა გაატაროს მასწავლებელმა მთელი წელიწადი, რადგანაც ყმაწვილმა უმეტესად უნდა შეისწავლოს ახალი ლიტერატურული ენა. ზოგი მასწავლებელი კიდევ

---

*) საუბედუროთ, საეკკლესიო გრამატიკა სულ არ არის შემუშავებული. ცოტაოდენ ცნობასაც ვერ უპოვით ჩვენ გრამატიკოსებს ამის შესახებ.

დასწოლია საქართველოს ისტორიის შესწავლას. ის მოკლედ, მშრალად, სხოლასტიკურად ჩაჰყვირის ყმაწვილებს საქართველოს წასულ ამბებს. ვკითხოთ მას: რის მასწავლებელია, ქართული ენისა თუ ისტორიისა? რასაკვირველია, მოგვიგებს—ქართული ენისა. მაგრამ ეგ შეცთომა იქმნება. პირველი და უკანასკნელი მიზანი ყოველი ენის მასწავლებლისა არის ყოველ მხრივ შესწავლა იმ ენისა, რომლისათვისაც თავი შეუწირავს. იმან უნდა შეასწავლოს ყმაწვილს არა მხოლოდ ცალ-ცალკე სიტყვები და ფრაზები, არამედ ცხადად გააგებიოს მას ენის კანონები, გრამატიკული ფორმები, ის შეუცვლელი მხარეები, რომელიც შეფერის ყოველს ენას და განსაკუთრებითი ქართულს. ისტორიული სტატიები, ლექსები, იგავ-არაკები უნდა იქმნეს მასალა ენის შესწავლისათვის.

ზოგი მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევს იგავ-არაკების შესწავლას. ვისაც კი ცოტათი მაინც გაეგება ყმაწვილის სულის მოთხოვნილება, ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არაკები, ზღაპრები, მოთხრობანი სასიამოვნო და საინტერესო მასალა არის მოსწავლეთათვის. გარდა იმისა, რომ იგავ-არაკებში მოსწავლე გებულობს ხალხურ ენას და მის თვისებას, ისინი (იგავ-არაკნი) ზრდიან მას ზნეობითაც. ყოველ არაკში მოიპოვება ზნეობითი მხარე (элементъ), რომელიც ყმაწვილმა უნდა შეისწავლოს. ეს ზნეობითი სწავლა უსათუოდ უნდა იყოს დამყარებული მოსწავლეთ ცხოვრებაზე. გარდა ამისა იგავ-არაკნი, როგორც მასალა გრამატიკის შესასწავლად, არიან ძრიელ გამოსადეგნი. აქ შეგხვდებათ, როგორც ლექსთა წარმოებისათვის, ისრე ლექსთა თხზულებისათვის, მრავალი მაგალითი. განსაკუთრებით იგავ-არაკი წარმოგვიდგენს მდიდარ მასალას ნიშნების ხმარების შესასწავლად. ჩვენის ჰაზრით, ძრიელ კარგს იზამს მასწავლეპელი, თუმც ყურადღებას მიაქცევს იმ იგავ-არაკებს, სადაც მელია არის გამოყვანილი, რადგანაც მელას მოქმედება ნამდვილი სარკეა ჩვენი ცხოვრებისა.

აქ უნდა შევნიშნოთ კიდევ ზოგიერთებს შემდეგი. ზოგი მასწავლებელი იმ ჰაზრისაა, რომ გრამატიკის შესწავლიდგან არა გამოდის რაო. პირველი და უკანასკნელი საშვალება ენის შესასწავლად არის პრაქტიკული მეთოდი, ფიქრობენ ისინი. აკითხე ყმაწვილებს მრავალი სტატიები, აზეპირე ლექსები და ისინი უნებურად ისწავლიან ენას. მართალია, ეს გზა არ არის ურიგო, მაგრამ პრაქტიკულ მეთოდთან თეორიაც რომ შევაერთოთ, მაშინ საქმე უფრო კარგა წავა. გამოცდილია მოწინავე პედაგოგებისგან, რომ უფრო უკეთ მიდის საგნის შესწავლა მაშინ, როდესაც საგანს განიხილავენ და შეისწავლიან პრაქტიკულად და თეორეტიკულად. რასაკვირველია, თუმც მთელი წელიწადი მასწავლებელმა მოანდომა ქვემდებარის და შესმენილის შესწავლას, მაშინ არ ღირს გრამატიკის სწავლა. მართალია ისიც, რომ, თუმც მასწავლებელმა გრამატიკული კანონების (правилъ) სწავლა მშრალად დაიწყო მოსწავლეებთან, მაშინ იმათ თან მობეზრდება საგანი და თან უნაყოფოდ ჩაივლის. მაგრამ პრაქტიკული და თეორეტიკული მეთოდი იქმნები სწორეთ **золотая середина**, როგორც იტყვიან რუსები. გამოცდილია და დამტკიცებული, რომ ვინც გრამატიკა არ იცის რომელიმე ენისა, იმან არც ენა იცის. თუმც გინდა, რომ დარწმუნდე ენის სიმდიდრეში ან სიღარიბეში, შეისწავლე მისი გრამატიკა, ამბობს ტაილორი. ალბათ გრამატიკის უცოდინარეობიდგან წარმოსდგება ჩვენში ის საზოგადო უმეცრება, რომ ზოგნი ფიქრობენ: ქართული ენა არ არის მდიდარიო.

ქ. უ.

## ახალი ვალდებულება ჩვენი სამღვდელოებისა.

ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის რეფორმაციული მიმდინარეობა არც ჩვენ სასულიერო წოდებას სტოვებს ერთსა და იმავე ყალიბში; იმათ გალავანშიაც გადადის და ნელ-ნელა შეაქვს იმათ ცხოვრებაშიაც ცვლილება. ამის დამამტკიცებელ საბუთად საკმაოდ მიგვაჩნია, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ სასულიერო უწყება ამ უკანასკნელ ხანებში გამოწვეულ იქმნა საერო განათლების ასპარეზზედ სამუშაოდ: იმათ დაედვათ ვალათ იღვაწონ ერის გონებითი ამაღლებისა და განათლების შესახებ საერო სასწავლებლებში; მიენიჭათ კანონიერი უფლება, დააწესონ მათდამი რწმუნებულს მრევლში სამრევლო სკოლები, იკისრონ თვითონ მასწავლებლობა და ამ საშვალებით მოფინონ თავიანთ სამწყსოში როგორც რელიგიური სწავლა, მეცნიერება, აგრეთვე ცხოვრებაში აუცილებელი საჭირო სამოქალაქო სწავლა და გონების განვითარებაც. კარგი ხანია მის შემდეგ, რაც უმეტესი ნაწილი ჩვენი შეგნებული საზოგადოებისა ხედავდა ამას საჭიროდ, და სთვლიდა დიდ საზარალოდ ხალხის გამანათლებელ დაწესებულებაებიდამ სასულიერო წოდების გამორიცხვას. და რომ ეს გამორიცხვა საზარალო და მავნებელი შე-

იქმნა, ეს იქიდამაც მტკიცდება, რომ ამ ბოლო დროს თვით უმაღლესმა წრეებმა საჭიროდ დაინახეს, რომ ამ საგანზე ყურადღება მიექციათ და საჭირო ცვლილება მოეხდინათ. ჩვენ ვიცით ეხლა, რომ უწმიდესი სინოდი, მტკიცედ დარწმუნებული სასულიერო წოდების ერის სწავლა-განათლების ასპარეზზედ მონაწილეობის მიღების საჭიროებაზედ, ხელმწიფე იმპერატორთან წარსდგა თავის განაჩენით, რომელშიაც აუცილებელ საჭიროდ ხედავდა ერის საფუძვლიანად განათლებაში სასულიერო პირების დახმარებასა და მოღვაწეობის საჭიროებას. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება დამტკიცება ამ საგანზედ სინოდის განჩინებისა 13 ივნისს ამა მდგომარის წლისა. მაშასადამე მიეცათ კანონიერი უფლება სამღვდელოებას ერში ერთი თავის უპირველესი მოვალეობის შესახებ მოღვაწეობისა; ამ მოვლენამ ბევრს სიამოვნებით აუძგერა გული და განუღვიძა იმედები შესახებ იმისა, რომ მდაბალს ხალხში ეხლა სწავლის მოფენის და გონების გაღვიძების სურვილი გაძლიერდება. ეს იმედი და მხიარულება არც მთლად უსაფუძვლონი არიან: ვისაც ჩვენი ერის წარსული ისტორიისა ცოტა მაინც რამე გაეგება, იმისთვის ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენ ქართველ ერში როგორც რელიგიურ, ისე საერო სწავლა-განათლების ასპარეზზედ მოღვაწეობდენ განსაკუთრებით სასულიერო პირები. ეს წრე იყო ერთი უდიდესი სალარო ჩვენის ერის ყოველ გვარისწავლა-განათლების, გონებით გამდიდრებისა და განვითარებისა. თუ ცოტა კიდევ უკან მივიხედავთ და დავუკვირდებით საქმეს, მაშინ უფრო კარგად დავინახავთ, თუ რა ღვაწლი, რა ნაყოფიერი შრომა მიუძღვისთ ამ მხრით ჩვენს უწინდელს სასულიერო წრეს ჩვენის ერის გონებითი ამაღლებისა და განათლების შესახებ. მაშასადამე თუ კი ჩვენი თანამედროვე სამღვდელოება აღმოჩნდება შესაფერი მემკვიდრე თავის სახელოვანი წინაპრებისა, იმ წინაპრებისა, რომლის ნაყოფიერი მოღვაწეობის წმინდა ლამპარი დღესაც გზას უნათებს ჩვენ ხალხს, იმ შემთხვევაში აღძრული იმედები უსაფუძვლოდ და ფანტაზიურ მოსაზრებად არ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ არც ის უნუგეშო მხარეები უნდა დავივიწყოთ, რომელიც ამ ჩვენს იმედებს წინ დაუხვდება, და მოლოდინს, ცოტა არ იყოს, გაგვიგრძელებს: ჩვენის აზრით, სამრევლო სკოლების თავის დანიშნულ მიზანზედ მიღწევას, აღორძინებასა და ნაყოფის გამოღებას წინ დაუხვდება ორი რამ ძნელად დასაძლევი გარემოება, ისეთი რომლებსაც თუ ამ თავითვე არა მოეხერხა რა, ადვილად შესაძლოა, რომ ჩვენს აღფრთოვანებულს იმედებსა და მოლოდინს მალე ფრთები შეუკვეცოს და ეს სამრევლო სკოლებიც ისე უნაყოფონი და მეტი ტვირთი შეიქნეს ჩვენი დაბალი ხალხისათვის, როგორც შეიქნენ უმეტესი ნაწილი ჩვენი სასოფლო სკოლებისა. რა არიან ეს შემაფერხებელი მიზეზები და რა უხვდება გაუვალ ჯურღმულად მომავალ სკოლებს? ერთი და უმთავრესი იმათგანი არის, ბატონებო, ის გარემოება, რომ ჩვენი მთის კალთებზედ მდებარე სოფლები, სადაც ყველაზე უფრო საჭიროა ზემოხსენებული სკოლები, სადაც მთელი გროვა საბრალო ხალხისა გახვეულია ისევ გონებითი სიბნელის და უმეცრების ბურუსში, მოფენილია უსწავლელი, ჯეროვანად მოუმზადებელის მღვდლებით. ვინ არ დაგვეთანხმება ამ სამწუხარო, მაგრამ ნამდვილ ჭეშმარიტებაზედ, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენი სოფლელი სულიერი მამებისა არ არიან შესაფერად განსწავლული და მომზადებული იმ წმიდა და მაღალი თანამდებობისათვის, რომელზედაც ისინი არიან დაყენებულნი. ვინ არ ხედავს იმ სამწუხარო სურათს, რომ უმეტესი ნაწილი იმათგანისა სრულებით არ განირჩევიან განათლებით იმ ერისაგან, რომლის ზნეობითი აღსამაღლებლად, გონებითი განსავითარებლად, და კეთილ ადამიანურ გზაზედ დასაყენებლად ისინი არიან განწესებულნი. სამრევლო სკოლები კი ისეთი დაწესებულებანი არიან, რომელნიც თხოულობენ სწავლულს, გონება გახსნილს განვითარებულს წინამძღოლს. ამ უკანასკნელს სასულიერო განათლებასთან ამისთანა პირს უნდა ჰქონდეს საერო განათლების უმთავრესი საფუძვლებიც შესწავლილი. უნდა ესმოდეს ჯეროვანად უმთავრესი და უსაჭიროესი კანონები პედაგოგიისა. უკეთუ ესეები არა აქვს შეთვისებული მრევლის მღვდელს, იმ შემთხვევაში რა ნაყოფი უნდა გამოიღოს იმისმა სკოლამ? შეიძლება ვინმემ გვიპასუხოს: ,,ჩვენ გვყავნან ნასწავლი მღვდლებიცო.“ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ ჩვენ, დიდი ხანია, გვაქვს დაარსებული ჩვენსავე ქვეყანაში სასულიერო სასწავლებლები, რომელნიც უნდა გვიმზადებდენ და გვაძლევდენ ნასწავლს, განვითარებულს სულიერ მამებს, იმ შემთხვევაში, რასაკვირველია, ჯეროვანად მომზადებულს მღვდლებზედ მთლად ხელდაცლილი არ უნდა ვიყოთ. მართალია, გვყავს ჩვენ დღეს რამდენიმე პროცენტი სწავლული მღვდლებისა, მაგრამ რა გამოვიდა, აქაც არა სანუგეშო სურათი გიდგია კაცს თვალ წინ. ამ დალოცვილებს ხომ ტყულაც ვერ მიახედვიებთ სოფლებისაკენ, და რა

საჭიროა, თუ მუშა იქ არ მივა და არ მოიხმარს თავის სწავლასა და ძალ-ღონეს, სადაც სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. მეორე, და არა უმცირესი მიზეზი ხომ ის გარემოება არის, რომელზედაც არა ერთგზის ყოფილა სჯა და ბაასი ჩვენს ადგილობრივ გამოცემებში. და ეს გარემოება გახლავსთ ის, რომ ჩვენი სასულიერო წოდების შესახებ ისე ხმა ვერ ამოგიღია ადამიანს, რომ პირში მათი ეკონომიური დავრდომილება არ გაგეხიროს. მართლადაც ჩვენი სასულიერო წოდება, მეტადრე სოფლის მღვდლების უმეტესი ნაწილი, ამ მხრით ისეთ მდგომარეობაში არიან, ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში არის ჩაყენებული მათი მატერიალური ღონისძიება, რომ არ შეუძლია სიმართლის მოყვარე კაცმა გვერდი აუაროს ამ მხარეს და ჩვენი სამღვდელოების ზნეობითი უკან დახევის მიზეზად, ბევრად თუ ცოტად, ეს უკანასკნელი არ აღნიშნოს. რა ქნას? რა ნაყოფი უნდა მოიტანოს? რანაირად უნდა იზრუნოს თავის მრევლის განათლებისა და კეთილ გზაზედ დაყენებისათვის ისეთმა მღვდელმა, რომელსაც თავის და თავის წვრილ ცოლ-შვილის გამოზრდისა და ცხოვრების საშვალება არა აქვს? რომელსაც ყოველ მინუტში თავის სახლობის კუჭის დამშევა ელანდება თვალში, და დღე ნიადაგ ამ სენის თავიდამ ასაშორებლად იბრძვის განურჩევლად, მიუხედველად მისა. ეს ბრძოლა ამდაბლებს მის არსებითი დანიშნულებას თუ არა? ჯერ ხარისხი მღვდელობისა მოითხოვს თვისის მაღალი დანიშნულებითა და მრავალ გვარი გონებითი მოღვაწეობით, რომ სხვა მხრით უზრუნველი იყოს მღვდელი, და თუ ამ მეორე ვალდებულებასაც მოუმატებთ სკოლის წინამძღოლასა და მასწავლებლობას, იმ შემთხვევაში პირ-და-პირ იმ დასკვნაზედ მივალთ, რომ ამ ორი არა მსუბუქი თანამდებობის მქონი მღვდელი სხვებრ თუ არა მატერიალურის მხრით მაინც უეჭველად უზრუნველი და დაიმედებული უნდა იყოს. მღვდელმა თუ კი ამ ორს თანამდებობას რიგიანად მოჰკიდა ხელი და გაუძლვა, ამას იმდენი გონებითი და ფიზიკური შრომა და მოღვაწეობა სჭირდება, რომ იმას სრულიად აღარ რჩება დრო სხვა საგანზედ ფიქრისა და ზრუნვისა. აი, ჩვენის ჰაზრით, უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზები, რომლებიც უეჭველად შეაფერხებენ ჩვენში სამრევლო სკოლების აღორძინებასა და ნაყოფის გამოღებას. და თუ გვინდა, რომ არც მომავალი სკოლების კეთილ-წარმატება, აგრეთვე ჩვენი სულიერი მამების ზნეობითი აღსვლა იმ მაღალს წრემდის, რომელზედაც იდგენ, დღეს სანატრელად გამხდარნი, მათი წინაპარნი, და თუ გვინდა, კიდევ მღვდელი არა მარტო სახელით, არამედ თვის ზნეობითი სიმაღლით, ნაყოფიერის მოღვაწეობით და კეთილის სათნოებით წარმოგვიდგენდეს ღირსეულ სულიერ მოძღვარს, იმ შემთხვევაში უნდა ვეცადოთ ამ ორი ხელის შემშლელს და უკან დამხევი გარემოების მოსპობას. მანამდის კი ვისურვოთ, რომ ღირსეულად აღესრულებიოს ეს თავისი ახალი მოვალეობა, და, რამდენეთადაც შესაძლო ექნესთ, ჩაედგასთ გონებითი გახსნისა და გამოღვიძების საძირკველი თავიანთ სულიერ მოწაფეებში.

ქაიხოსრო ბელოვანი.

## პოლიტიკური მნიშვნელობა ამბროსი ნეკრესელის ქადაგებათა. *)

განძვინებულნი მტერნი, თითქო თვით ჯოჯოხეთისგან წარმოშობილნი, გარს ეხვევიან შთასანთქმელად ედემის კუთხეს, სადაც იბრძვის თავ-განწირულად რიცხვით მცირე, გარნა ისტორიით ღირსშესანიშნავი ერი. საქართველოს ერი არ ძრწის: ქრისტეს უძლეველი ჯვარი აქვს მას საფარველად, მამულისადმი ცხოველი სიყვარული ამხნევებს მას, სათაყვანებელი ირაკლი, ერის ძალ-გრძნობათ შემაერთებელ-განმახორციელებელი, ჰყავს მას წინამძღოლად... დრომ და შრომამ განხარეს ირაკლი, ოჯახში უთანხმოების მომასწავებელ ნიშანთ დაჰკოდეს მისი გული; მისი ბასრი რხმალი თითქო დაჩლუნგდა, მის მოუღალავ მკლავს თითქო მოაკლდა ძალა... განეშორა საქართველოს მისი მფარველი—მეფე ირაკლი, მოეშალა მას საიმედო ბურჯი თვით — არსებობისა; დაიწყო სამეფომ შესაზარი რყევა. მაგრამ სულით აღმაღლებულ გვამთა ხმა ჯერ კიდევ არ მიმწყდარა: აგერ ნეკრესის კათედრიდამ გაისმის ზარი —ხმა გოდებისა და გლოვისა:

თანამემამულენო! „ქრისტეს მაგინებელთა უსჯულოთაგან საქართველოს აურიცხველი შეწუხება, რყევა, ტყვევნა, აოხრება“ მოერგინა და „განმრავლდა ჩვენი შეწუხება თუ ოსმალთა, თუ ყიზილბაშთა, თუ ლეკთა და სხვათაგანცა გარემოსთა ჩვენთა მტერთაგან“. „ახლა, ამ ჩვენ დროს არბაზობისა, აყრისა და დამალვისა, რამდენი სოფელი ოხრდება

*) ამ სტატიაში შემოკრებული ჰაზრები ამბროსი ნეკრესელისა იძიე მის ქადაგებებში 24 გვერდიდამ 291 გვერდამდე.

და ქრისტიანობას აკლდება!“ თუ აქამომდე „საქართველო ერთის რასმე საქებელ ადგილად სხვა ქვეყნებთანაც თქმულა და ხსენებულა — სიმდიდრით, ქონებით, სამკვიდროებით“, აწ ესე აღარ არის, აწ ყოველივე აგვიოხრდა: „აჰა წმიდანი და ძრწოლით სათაყვანონი ეკკლესიანი და სამღთონი ტაძარნი შერყეულნი ბილწთა უსჯულოთაგან, განძარცვილნი, დამწვარნი, დაქცეულნი, უწირავად გაოხრებულნი, ბილწის ყორნისა, და ბილწის ლოცვისათვის სახლად და მეჩითად გადაქცეულნი!“ აჰა ეს ამდენი ქვრივი, ობოლი და სოფლიდამ აყრილი სიცივით, შიმშილით ცას ქვეშა ჰყრიან მწარედ შეწუხებულნი!“ აჰა „ესოდენი ერი საქართველოსი — სამღვდელონი თუ საერონი, ყრმანი თუ მოხუცებულნი, მშვენიერნი ქალნი თუ ვაჟკაცნი უსჯულო ხელისაგან ზოგნი დატყვევებულნი, ზოგნი დახოცილნი და ზოგნი ისეთ ადგილს დაკარგულნი, რომ იმათის სახელის ხსენებაც კი აღარვის გვესმის!“ „უწყალოთა და უსჯულოთა მტერთაგან მუდამ ჩვენნი შვილნი და ძმანი ტყვევდებიან და თავის სამკვიდროს სამყოფისაგან გვეკარგებიან. რამდენი მოხუცებული მამა და დედა შვილს იგლოვს, მწარედ ჰკვნესის და ტირის: ვაიმე, შვილო, უსჯულოს ქვეყანას დაკარგულო და უსჯულოთაგან დატანჯულო, ვაიმე სად ხელ-ბორკილით, და ხუნდითა, და შიმშილითა, და შეწუხებითა შენ მანდა ჰკვნესი და მეკი შენი შველა არა შემიძლიან-რა“; რამდენი „მწარის ტირილით, გოდებით და მწუხარებით თავსა და პირს ვიცემთ, ვიგლოვთ და ვკვნესით. ვაი საყვარელნო, სასურველნო და სიხარულნო შვილნო ჩვენნო, დანო და საყვარელნო უსჯულოთაგან დატყვევებულნო, მეგობარნო და მეზობელნო საყვარელნო ჩვენის მამაშვილობისაგან დაკარგულნო, თქვენის საყვარლებისაგან მოშორებულნო, გამოუსალმებელნო, ცრემლ დაუყრელნო, სულითა და ხორცით უცხოს ქვეყანასა, უცხოს თემსა და ადგილსა უსჯულოთაგან გატანჯულნო! ვინღა დაგვანახოს საყვარელი და სასურველი პირი თქვენი, ვინღა გვასმინოს ჩვენთვის სასიამოვნო და სასიხარულო ხმა თქვენი, ვინღა გვაღირსოს ჩვენი ერთმანერთთან განცხრომა და სიხარული!.. ვინ იცის ტყვეობაში „რამდენნი მწარის კვნესით თავსა და პირს იცემენ, რომ ჩვენის ეგოდენის სასახლისა და ადგილის მქონებელსა ერთის მცირეს თავის შესაფარებელი ადგილიც აღარსადა გვაქვსო, ჩვენის მრავალ საზრდელ-სანოვაგის წინ მიმრთმელნი და დამგებელნი ახლა სხვათა მხარეს ერთის ლუკმის პურის სათხოვლად მოარულნი დავძრწითო. ჩვენის მრავალ სამოსთ ტანთა ბრწყინვალედ შემოსით მცხოვრებნი ახლა ერთის მცირის საგლახაკოს ფლასითა და სადაგითა შემოხვეულნი დავალთო; წმიდანი სამღვდელონი ხომ ორისა და სამის ბრწყინვალე სამკაულის და შესამოსის მქონებელნი და მრავალთ წერილთა და სამღთოთა წიგნთა მეგანძურნი ახლა თვითოს ფარატინსა და ფურცელის მეძიებელნი მდაბიოსა და უნდოსა სამოსისათვის დაგლახაკებით მიმომთხოვრობენ.“ ვინ იცის ჩვენნი შვილნი შორიდამ ასეც გვესაუბრებიან: „ვაიმე, ჩემო მშობელნო, ნეტავი ამ დღისათვის არც კი გეშობეთ — ქრისტიანობა დავკარგეთ, წმიდა ჯვარი და ხატი გვაგმევინეს, ბორკილი და ხუნდი მწარედ გვაწუხებს, ჩვენს ძმასა და მეზობელს თვალით ველარა ვხედავთ, წმიდას წირვასა და ლოცვას ველარ ვღირსენით და ჩვენის საყვარლის დისა და ძმის ნახვას ვინღა გვაღირსებს! იქნება უალსარებო და უზიარებელნიც დავიხოცნეთ და ნეტავ ამ დღისთვის, ჩვენო მშობელნო, თქვენი ძუძუ არც კი გვეწოვნა და მაშინვე დავხოცილიყავნით...“ დიდად, „დიდად ძნელი არის თავისის სამკვიდროს ადგილიდამ განშორება და გამოგდება, დიდად სამწუხარო და საგლოველია ეს!..“ მტერი არ ჰსცხრება, იგი კვალადაც თავს გვიქნევს მუქარით: „რაც კიდევ დამრჩა, მოვალ და სრულიად ამოვჰფხვრი, დავაქცევ, დავარღვევო, ქრისტიანობას საქართველოში სულ ავხოც, ბატონებს წავართმევ, თავადებს დაუმდაბლებ, ცოლსა და შვილებს დაუტყვევებ, ეგოდენს ქვრივსა და ობოლს ავატირებ, მათ მღვდლებს და ეპისკოპოსებს ხმალ ქვეშ მოვსრიო“. მტერს ყველგან ემარჯვება, სადაც უფრო არა გვგონია, იქ პოულობს იგი შემწეობას: „მაღლისა და ძლიერის ხელმწიფისა, განმხნობილისა და განბრძნობილისა, ქვეყანაზე სახელ განთქმულისა, მხთომთა და გულით წინააღმდეგთა სპა-ჯარ-ლაშქართ ზარის დამცემ შემრისხველისა მეფის ირაკლის შვილები თავათ ხელმწიფე მამა-პაპათ მრავლის ღვაწლით თავ-დადებულს ქვეყანაზედ ერთმანერთის ცილებით და წინააღმდეგობით ბრძოლას აპირობენ და ერთმანერთ სასისხლოდ დაეძებენ; ომი და ბრძოლა განუმზადებიათ, უსჯულოთა და მტერთ ახარებენ და ორთა ხელმწიფე მშობელთ დარეჯან დედოფლისა და გიორგი მეფის გული მწარის ცეცხლით უნდა ააგზნონ, გაამწარონ, სისხლის ცრემლით აატირონ!..“ „ეს ჩვენი ბატონის შვილების ესე უსჯულოებისაგან მიმხრობა და „შენ-ჩემობის“ ჩამოგდება უფრო სხვა დღე არის; რაც მწუხარების დღე გამოგვივლია, ეს იმ დღეს არა ჰგავს, „ჩვენი ხელმწიფის შვილებთაგან

,,თუ რომელსამეს დღე მოაკლდება, ხომ ჩვენი დანთქმის დღეც მოიწევა, ხომ მტერიც უფრო წამოდგება, აღარ დაგვინდობენ — სულ აგვაოხრებენ და აგვიკლებენ!“ დიაღ, ,,ჩვენ, ერნი საქართველოსანი, ცოცხლივ მიწაში შთაწევნილნი ვართ:“ ,,გული ჩვენი მტკივნეულ არს, სული ჩვენი დაჭმუნვებულ არს, სიცოცხლისა ჩვენისა ფურცელი დამოცვივნულ არს, სიხარულისა ჩვენისა სარო მოკვეთილ არს, ქვეყნისა ჩვენისა შვენება და კეთილ ნაყოფიერება დაქნობილ არს, სიმაღლე და ძლიერება ჩვენი დამდაბლებულ არს, სიგლახაკითა და უძლურებითა ჩვენითა მეფენი უსჯულონი და უწყალონი აღძრულ არიან ჩვენზედა, ხმობენ და გვექადიან ულმრთონი იგი პირნი მათნი: სადა არს Ⴖმერთი იგი მათი...“

Ⴃა რა არის მიზეზი ამ უბედურებათა?—ცოდვა ჩვენი; ,,ეს ყოველივე ჩვენის ცოდვისა, მოუქცევლობისა ქრისტიანობაზე ჩვენგან ნაკლებად, უსასოდ მდგომარეობისაგან არის“. ,,Ⴚოდვა განმრავლებულ არს, ცოდვამ გაგვაოხრა და ჩვენს ქვეყანასაც ჩვენი ცოდვა აქცევს, არღვევს და ამდაბლებს. მაშ აბა რომელი ქვეყანა გინახავსთ და გაგიგონიათ სიმართლისა და მადლისაგან დაცემული, დამდაბლებული?!.“ ,,ვაჲმე! არ გესმისთ, ეს რა ამბავია?! განიღვიძეთ საქართველოს ერნო—სამღვდელონო, საერონო დიდნო და მცირენო! Ⴖმერთი აღარვისა გწამს?!, დავყრუვდით, დავბრმავდით, არ გვესმის, ვეღარა დაგვინახავსრა?!. კაცმა თავის თავზე მოწევნილი განსაცდელი, თუ ჭირი, თუ მწუხარება, თუ სიგლახაკე, თუ სნეულება უნდა Ⴖვთის მადლობით მოითმინოს, მაგრამ ხელის და ფეხის მოშვებით და ლეშის განსვენებით არა, არამედ ვითარცა გვამცნებს ეზდრასა შინა მოხსენებული: ,,ოდეს მოვიდეს დღე მწუხარებისა და იწროებისა, უფრო-ღა ნუ მოუძლურდები, ხოლო ითქვენ და ხცნა ხადა იყავ—მაშინ შეგეწიო შენ“, ისმინეთ: დღე ესე დღე არს განხმობისა შრომით, მხურვალის ცრემლით და Ⴖვთის ვედრებით, ლიტანიით, ღამის თევით, მარხვითა, ლოცვითა და ერთის რომელისმე სინანულისა და თავის თავში აჩემებულის ცოდვის მოკვეთით, რომ Ⴖმერთმან ჩვენი ვედრება შეისმინოს, შეგვიწყალოს, გვილხინოს და ჩვენზედ აღძრული ეგოდენი უსჯულოთ მოსული მძლავრება და სიქადული დაარღვიოს, განაქარვოს, დასცეს და დაამდაბლოს“. მოვინანოთ, რომ ,,ამისგან უფრო შეწუხება და მეორედ მოსვლის მსგავსი მტრისაგან აოხრება ჩვენმა თვალმა არ დაინახოს, თორემ როგორც მადლს და ლოცვას მრავალი რამ კეთილი შეუძლია, ისე ცოდვის სიმრავლისაგან რაც არ გვეგონოს, იმას მოველოდეთ“, მოვინანოთ და მივმართოთ მტერს! და ან რისა გვეშინის? ,,უშემწეონი თუ ვართ და უნუგეშონი—გვივის ჩვენ ყოვლად წმიდა Ⴖვთის-მშობელი მარიამ საქართველოს წილად ხდომილი და მრავარჯერ საქართველოს ერის შეწუხებიდამ გამომხსნელი; მეწინავე და საჭურველ და ღონე მოკლებულ თუ ვართ და შეშინებულ— გვაქვს ჩვენ შემწედ და წინამძღომელ და ძლიერ საჭურველ Ⴕრისტეს უკვდავის სისხლით შეღებილი ჯვარი, ძალ მეფეთა, სიმხნე მხედართა, მფარველ ქრისტიანეთა და ძლიერად დამცემელ, დამამდაბლებელ მებრძოლთა მტერთა ჩვენთა“.

ვ. ბარნოვი.

დასასრული შემდეგ №-ში.

---

## ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

### XV.

Ⴓმწარესი დღენი დაადგა ქრისტიანობასა და საქართველოს ყეენობასა სპარსეთს ულმრთოისა შაჰ-Ⴀბაზ II მცირისა და მის შემდეგ ვიდრე 1744 წლამდის, ე. ი. მთელი საუკუნის განმავლობაში იწიწკნებოდა საქართველო, რომელიც მრავალთა ტანჯვა-აოხრებათაგან უკვე ემსგავსებოდა წამებულსა გვამსა.

Ⴐოდესაც შაჰ-Ⴀბაზ პირველისაგან აოხრებული ქვეყნის შენება დაიწყეს ქართლ-კახეთში, მაშინ შაჰ-Ⴀბაზ II-მ, არა მსურველმა საქართველოს კეთილ-დღეობისა, ,,წარმოგზავნა ურიცხვი ულუსი თათართა დედა-წულითურთ მათით და ფალანებითა მათითა და ყოვლითა სიმდიდრითა მათითა და თავად მათდა უჩინეს სულტანი Ⴀრდალალისა და იგიცა ყოვლით სახლეულით მისით, რათა სრულიად აღხოცონ ქრისტეანობა. Ⴋყის აღიძრნეს და მოიწივნეს კახეთად და დაიბანაკეს მუნ და დაემკვიდნეს იგინი და აღივსო სრულიად კახეთისა თემი (ქვეყანა), რამეთუ ვერ ვინ შემძლებელ იყო წინა აღდგომად მათდა სიმრავლისათვის მათისა. Ⴈწყეს რა შენებად ზემო ბახტრიანით *) ... ვიდრე Ⴊანუსამდე (აწ დიდი და პატარა Ⴁოინუგინუხის მაზრაში), რომელსა აწ ფაროებით უხმობენ, იმიერ და ამიერ Ⴀლაზნის პირსა და ყოველთა ად-

---

*) ,,უწტოს ხევის შესართავის პირის-პირ, ალაზნის აღმოსავლეთის კიდესა ზედა არს ციხე ბახტრიანი ანუ მაღრანისა... ესე ყოფილ არს დიდ-შენი და მაგარი, განა აწ უქმი (ვახუშტი გეოგრ. გვ. 320).

გილთა კახეთისათა.“ ყველა ამ ადგილებში დასახლებულთა სპარსელთა სახლეულობანი იყვნენ 80 000 კომლამდე.

ამ დროს კახეთის მმართველად დროებით იყო ქართლის მეფე მაჰმადიანი როსტომი, პატარაობიდგანვე აღზრდილი სპარსეთში, მერმე როსტომისა სურვილისამებრ დანიშნულ იქმნა (1657 წ.) სპარსელი სალიმხანი, კაცი სასტიკი, უდიერი, მტარვალი. ქრისტიანობა ჩავარდა საშინელ მდგომარეობაში. ეკკლესიანი, მონასტერნი დანგრეულ, გაოხრებულ იქმნენ. ისლამთა მასწავლებელნი სდევნიდნენ და აწვალებდენ მღვდელთა, ეპისკოპოსთა, ქრისტიანეთა, აგინებდენ და სტანჯავდენ მათ. დიდი, ძველი და შესანიშნავი ალავერდის ტაძარი შეიქმნა მაჰმადიანთა სამლოცველად. მისი ძვირფასი ხატი გაცარცულ და წაღებულ იქმნა. მოისპო ქრისტიანობა ალაზნის ველზე და მხოლოდ ძენი თუშეთისანი, ფშავ-ხევსურ-თიანეთისანი, ჩაკეტილნი მაღალთა კალთათა შინა კავკასიისათა, კიდევ აღიარებდენ (რასაკვირველია ცხადლივ) ქრისტესა.

მაგრამ ამისთანა სავალალო დრომაც ქართველნი სასოწარკვეთილებაში არ ჩაჰყარა. კიდევ იყვნენ მრავალნი ქრისტეს მხედარნი, რომელთაც იმედი ჰქონდათ გამოეხსნათ მამული და ჰსჯული განსაცდელისაგან. ამგვარ პირთაგან, სხვათა შორის, იყვნენ ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავნი და ბიძინა ჩოლაყაშვილი, მმართველი ზემოისა კახეთისა. ამათ იდუმალად ეხმარებოდა აგრეთვე არაგვის ერისთავი ზაალი.

გამოჩენილთა ამა მამულის შვილთა შეჰკრიბეს ჯარი, მოუწოდეს თუშ-ფშავ-ხევსურთაცა, გადავიდნენ კახეთს და დაეცნენ მტერსა და „დაუწყეს სრვა და ხოცვა და ესოდენ ასწყვიდეს, ვიდრე სრულიად მოსპობამდე და აოტეს და განაბნიეს და მოსრეს პირითა მახვილისათა და თვით სულთან იგი, მთავრად მათდა ჩინებული, ძლივსღა შეესწრა ცხენსა და მცირედითა ოდენ კაცთა ივლტოდა დამტევებელი ცოლთა და შვილთა თვისთა; ხოლო მათ ყოველთავე აწყვიდეს და იავარ ჰყვეს და სრულიად მოსპეს და განაბნიეს.“ სპარსელნი, დაშთენილნი ცოცხლად, ლტოლვილნი უკუნ სპარსეთად და ყოველივე მოახსენეს შაჰ-აბაზსა, რომელმაც უბრძანა მეფესა ქართლის შაჰ-ნაოზსა (ამ დროს მეფედ ქართლისა იყო ვახტანგი—გამაჰმადიანებული შაჰ-ნაოზი), რათა შეიპყრნას ბიძინა, ელისბარ და შალვა და წარუგზავნოს მას. ვახტანგიც მოიქცა ბრძანებისამებრ. სამნივე ესე მხედარნი „განაშიშვლეს და სიცხესა შინა მზისასა ჰაერსა ქვეშე განყარნეს, შეკრულნი ხელით და ფერხით და დაკლებულნი შიმშილისა და წყურვილისაგან განკაფულნი და ბუზთა და ბზიკთა მიერ უწყალოდ წერტილნი.“ შემდეგ ამისა ელიზბარს და შალვას „წვივთა მათთა უხეთქნეს მახვილნი და მუხლთა ზედა დასცნეს ქვე და ეგრეთღა წარჰკვეთეს თავნი მათნი.“ ბიძინა ჩოლაყაშვილს კი მრავალის გამოცდისა და წვალების შემდეგ ასო-ასო დასჭრეს სხეული და ისრე მოჰკლეს (1661 წ.) საქართველოს ეკლესიამ სამნივე ესე სანატრელნი აღიარა წმიდანებად. დღეობა მათი დღე აღსრულებისა მათისა —18 სეკდემბერი. სხეულნი წმიდათანი *) სამნივე ჰმარხიან იკორთას ტაძარში.

არა უკეთეს მდგომარეობაში იყო ქრისტიანობა ქართლში. ჯერ როსტომის დროსვე მრავალნი ქრისტიანენი სპარსთა ზედ-გავლენისა და შიშისა გამო ილებდენ მაჰმადიანობასა. თვით მეფე მფარველი იყო მაჰმადიანთა. ეს იყო მიზეზი, რომელ მეფის მკიცხავი, ქრინტიანეთ მფარველი, ქართლის ტახტზე თეიმურაზ I მსურველი განათლებული კათალიკოზი ევდემოსი შეპყრობილ იქმნა როსტომისაგან და რამდენიმე ხნის პყრობილობის შემდეგ მაღალის ციხიდამ ჩაგდებულ იქმნა მტკვარში. მაგრამ ჯერ არს აღვნიშნოთ, რომელ როსტომისაგანაც და ვახტანგ—შაჰნაოზისაგანაც ბევრი საქრისტიანო საქმე გაკეთდა. ამათ შემდეგ გამეფებულმა ერეკლემ I **) გადააყენა სწავლული კათოლიკოზი ნიკოლოოზ და ბევრი ავნო ქრისტიანობას.

ჩვენნი ეკკლესიის მასწავლებელნი მაინც არა სცხრებოდენ და ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ ქრისტიანობის დასაცველად. იგინი როგორც შინ, ისე გარეშე საქართველოისა ეკკლესიის საქმეებში იღებდენ მონაწილეობას. მაგ. მოწოდებისამებრ ალექსანდრიის პატრიარქი პაისისა საქართველოდგან მოსკოვში წინააღმდეგ ნიკონისა იგზავნებიან მიტროპოლიტი ეპიფანე და არხიმანდრიტი პახომი.

მოსე ჯანაშვილი.

---

*) სამნი მარტჳრნი, სამებისად მსრბოლობენ;
ერის მთავარნი ორნი, ქსნის ძმანებნი,
. . . . . . . . . .
შალვა თვით იფრთებს, ელისბარით აღისუფევენ.
მატაკარანი ბიძინა, მათ წინა-მსწრობი,
ასოთ განთჳსვით, სპარსთაგან იაკბარს,
შჭრილით ნაჭვრად ნასხამთა ჰხმობს სიხარულით,
. . . . . . .
ნიკოლოოზ თფილელი.

**) ამ დროს ეკუთვნიან „მოწერილობა იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოზისა საქართველოსადმი.“ პატრიარქი გან-

## ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა.

კარგი ხანია, რაც ქუთაისში არის გახსნილი სააზნაურო სკოლა. ეს სკოლა დაარსა იმერეთის თავად აზნაურობამ მათი ბანკის შემოსავლის საშუალებით. ამ სკოლაში დღეს სწავლობს ოთხასი ბავში თავად აზნაურთა და სწავლაც რიგიანად მიდისო, როგორც ამტკიცებენ. ამ სასწავლებლის ინსპექტორათ და გამგეთ არის დანიშნული ბ. ა. ჭიჭინაძე, რომელიც ძრიელ მუყიათობას და გამჭრიახობას იჩენს თავის თანამდებობის და მოვალეობის მტკიცედ აღსრულებაში. უკანასკნელ შეკრებილებაზე იმერეთის თავად აზნაურობამ დაინახა საჭიროთ ერთი დასაწყისი განყოფილების გადაეტანა სამეგრელოში რომ იქ ხალხის სიახლოვეს გაეხსნათ ქუთაისში მოსამატებელი განყოფილება. ეს გარდაწყვეტილება თავად აზნაურთა სისრულეში მოუყვანიათ 28 წარსულ ოკდომბერს. სკოლის გახსნაზე დასწრებიან მრავალნი პირნი. სხვათა შორის სკოლის გახსნაზე დასწრებია ბ. ა. ჭიჭინაძე, რომელსაც წარმოუთქვამს სიტყვა. მოგვყავს ეს სიტყვა „დროებიდამ“.

„ბატონებო!—დაიწყო ბატ. ალ. ჭ—ძემ,—ნება მომეცით ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ დღევანდელის დღის გამო, რომელიც არის დღე სასიხარულო აქაურის თავად აზნაურობის შვილებისათვის. ამ ხუთის წლის წინედ მეტად ჩინებული და სასახელო საქმე მოიფიქრა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ — მან გახსნა ბანკის საშუალებით სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს ამ ჟამად ოთხასამდის თავად-აზნაურთა შვილები. დღეს იგივე თავად-აზნაურობა ხსნის აქ იმ სასწავლებლის განყოფილებას. ამ ხუთის წლის განმავალობაში მუდამ გულ უხვობას გვიმტკიცებდა თავად-აზნაურობა სასწავლებლის საქმეში. რამდენი საგანი იყო წამოყენებული ბანკის კრებაში, რომელთაც, ვინ იცის, რამდენი დავიდარაბა გამოიწვიეს, მაგრამ სკოლის საქმეში ყოველთვის ერთის სურვილით იყვნენ ყველანი გამსჭვალულნი, ყველანი თანხმობით მოქმედობდენ. ამ გვარი საქციელი გვიმტკიცებს, რომ თავად-აზნაურობა დიდად აფასებს სწავლა-განათლებას, გრძნობს მისს საჭიროებას.

---

მარტებს ლვაწლსა ქართველთასა იერუსალიმის მონასტრებზი, ამათ სამწუხარო მდგომარეობაზე, სთხოვს შემწეობასა მეფე ერეკლეს და მოახსენებს, რომ თქვენი დედის მიერ შემოწირული ფული 1667 და 1000 პიასტრი (გროში) მივიღეთო. ამის შემდეგ არიგებს ერეკლეს, რომ ფრთხილად მოიქეცი და შვილები მაინც ქრისტიანებად აღზარდეო. (იხ. ქართ. სასულიერო მახარებელი მაისის №-რი 1866 წ.).

ძველად, როდესაც უფრო ძნელი იყო სწავლის კეთილად წარმართვის საქმე, როდესაც ყოველის მხრით გარს გვერტყა მტერი და მოსვენებას არ გვაძლევდა, მაშინაც არ ივიწყებდენ ჩვენი მამა-პაპანი წიგნსა და წერას, სწავლას და ახლა, ამ მშვიდობიანობის დროს, როდესაც მეტი თავისუფლება გვაქვს ჩვენის გონებისათვის ვიშრომოთ, მეტი სურვილი უნდა გვეჩნეოდეს სწავლისა და გვეჩნევა კიდეც: ყოველ წელიწადს ვაგსებთ ყველა სასწავლებლის კარს მთხოვნელებით. ეს წყურვილი სწავლისა შესაფერია ამ დროის მოთხოვნილებისა, ნამდვილ იმისგან არის გამოწვეული.

ჩვენი სამშობლო ერთი დიდი გზაა, დიდი სავაჭრო მოედანი, რომელზედაც მიმოსვლა აქვს მთელს ევროპას, რომ აქაური ბუნების სიმდიდრე გაიტანოს და თავის ცხოვრება გაიუმჯობესოს. მომავალში კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება ეს მსვლელობა. მეორეს მხრით ჩვენი ქვეყანა არის მარჯვე და მოკლე გზა დასავლეთ და აღმოსავლეთ ხალხებს შუა და ამით მიიპყრობს ყურადღებას, იზიდავს ბევრს. მუდამ დღე გვექმნება შემთხვევა უცხო ქვეყნებთან შეხვედრისა, საჭიროება მათთან საქმის დაჭერისა. უცხო ქვეყნელები კი ჩვენზე უფრო დაწინაურებულნი არიან ბევრად სწავლა-განათლებით და ჩვენც, თუ არ ვეცადეთ და არ აღვიჭურვეთ იმავე სწავლა-განათლების იარაღით, ყოველი გამვლელ-გამომვლელი თუ რასმე წაგვართმევს, თორემ არას შეგვძენს; ხელიდგან გამოგვაცლიან ჩვენ მამა პაპათგან დატოვებულის ადგილ-მამულების სიმდიდრეს.

ამ გვარს გარემოებათა შორის სწორედ სანუგეშოა ჩვენის საზოგადოების მიზიდულება სწავლისადმი.— მაგრამ სწავლის საქმის კარგად დაყენებისათვის, რომ სასწავლებელმა კეთილი ნაყოფი გამოიღოს, მიუცილებლად საჭიროა სამი უმთავრესი პირობა: ზრუნვა ყმაწვილების ზნეობითს აღზრდაზე და დაცვა მათის კეთილ ზნეობისა, კეთილ სინიდისიანი შრომა მასწავლებლების მხრით და ნივთიერი საშუალება სასწავლებლისათვის.

უნდა მოგახსენოთ, რომ შემცდარნი იქნებიან ის მშობლები, რომელნიც მიიყვანენ შვილს სასწავლებელში, როგორმე დააბინავებენ და იტყვიან, სასწავლებელში მივეცი და ახლა მაგის ავი და კარგი მაგის მასწავლებელმა იცისო. სასწავლებელი მარტო ვერას გახდება. რაც უნდა თავგამოდებით იშრომონ მასწავლებლებმა, თუ ათ მშობლებიც არ დაეხმარნენ, არ უგდეს ყური ყმაწვილებს, როცა ისინი სკოლის გარეთ არიან, ბინაზე მშობლებთან, ან ნათესავებთან, ან და უცხო ოჯახში ბინადრობენ სადმე, თუ მშობლებმაც, აგვნიდგან დაწყებული სკოლის კარებამდის და სკოლის კარებიდგან

სწავლის გათავებამდის, არ იზრუნეს თავის შვილების კეთილ-ზნეობისათვის, ფუჭად ჩაივლის უმეტეს ნაწილად შრომა აღმზრდელთა და მასწავლებელთა. რა ჰქმნას მასწავლებელმა? იგი ასწავლის მარტო სამი-ოთხის საათის განმავლობაში და მერმედ მის გავლენას მოკლებულია ბავშვი. იგი მიიღებს ბავშვს შვიდი-რვა წლისას და აქედგან იწყება მისი საქმე; მანამდის ბავშვი იზრდება თავისიანების წრეში და რძესთან ერთად ითვისებს მათს შეხედულობას, მათს ზნეობას და გრძნობათა. ხშირად ამ გვარი მიზეზი დამაბრკოლებელია სწავლა-აღზრდის საქმისა.

ნივთიერის საშუალების მხრით არც ერთი ჩვენი სასწავლებელი, არც ეს და არც ქუთაისისა, არ არის დამყარებული მკვიდრს საფუძველზე. ამათი შემნახველი, ამათი მკვებავი გახლავსთ საადგილ-მამულო ბანკის წმინდა სარგებლის რამდენიმე ნაწილი, მაგრამ ამისთანა საშუალება არ შეიძლება ჩაითვალოს მკვიდრად, სამუდამოდ, რადგანაც ბანკის საქმე ვაჭრობის საქმეა: დღეს შეიძლება მოგება იყოს და ხვალ ორი იმდენი წავაგოთ. მაშინ, სხვა საშუალებას მოკლებულნი, იძულებული ვიქმნებით დავხუროთ სასწავლებელი, ის სასწავლებელი, რომლებისაც ასე დიდი იმედი გვაქვს და რომლების გახსნასაც დღეს ჩვენ ასე სიხარულით ვეგებებით.

წარსულის დროის შეცდომა აწინდელისათვის საგულისხმიეროა და შთამაგონებელი. სამის წლის წინედ, როდესაც ჩვენს ბანკს ბევრი შემოსავალი ჰქონდა, მე შევიტანე ზედამხედველ კომიტეტში აზრი, რომ ეშუამდგომლათ საზოგადოების წინაშე სკოლის თავნის შესადგენად; ვინ იცის მეთქი, რა მოგვივა და შევუდგეთ ისეთის თავნის შედგენას, რომელიც უზრუნველ ჰყოფს სასწავლებელსა მეთქი. ეს აზრი უყურადღებოდ დარჩა მაშინ, ამაზედ ლაპარაკიც არ ყოფილა. ახლა ისეთს მდგომარეობაშია ჩვენი ბანკი, რომ ძლიერ ცოტა სარგებელს გვიქადის და იქიდგან ცოტა ერგება სასწავლებელსაც. იქონიეთ სახეში ეს გარემოება, ნუ დავენდობით მარტო დროებითს საშუალებას და მოვსძებნოთ ისეთი, რომელმაც შეიძლოს სამუდამოდ საზრდოება სასწავლებლისა!

ამ თავად იზრუნეთ სასწავლებლის შენობისათვისაც, რადგანაც მას ამ ჟამად ვიწრო სადგომი უჭირავთ, და დააბინავეთ იგი თავის დანიშნულების და საჭიროების შესაფერად. რაიცა შეეხება მასწავლებლებს, ამაზედ მოგახსენებთ, რომ დღეს ნაკურთხის სასწავლებლის უფროსი ზ. ყიფიანი, როგორც მე იმას ვიცნობ (ის მსახურებდა წინედ ქუთაის. სააზნ. სასწავლებელში ორს წლამდის, შემდეგ თბილისის სათავად-აზნაურო სასწავ. იმსახურა ერთი წელიწადი), საიმედო კაცია, სწავლებაში გამოცდილი, მუყაითი და იმედია, როგორც ის, ისე მისი თანამშრომელი მასწავლებელიც ერთგულად იშრომებენ თქვენის შვილებისათვის, არ დააკლებენ ყურადღებას, რამდენადაც შეიძლებენ თავის მალღონით თქვენგან გამხნევებულნი და ზურგ-გამაგრებულნი. — დასასრულ მოგილოცავთ, ბატონებო, ახალის სასწავლებლის გახსნას! ვისურვებ, რომ მას თქვენი შვილები სწორ გზაზე დაეყენებინოს, რომ სასიქადულონი ყოფილიყვნენ ჩვენის ქვეყნისათვის და მომავალს თაობას მათის კეთილის საქმეების და ზნის მიმხედველს, — კეთილად მოეხსენებინოს თქვენი ზრუნვა და ღვაწლი სწავლა-განათლების საქმისათვის!“.

---

## სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ჩვენ შევიტყვეთ ერთი სამწუხარო ამბავი დაბა ხონიდამ. ამ დღეებში, როგორც ამბობენ, ხონის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორს ამ და სემინარიის მესამე კლასის ზოგიერთ მოწაფეთა შორის რაღაცა უკმაყოფილება მომხდარა, რომლის მიზეზისა გამო მესამე კლასი სულ დაუხურავსთ და შაგირდები პოლიციის საშუალებით თავიანთი მშობლებისათვის ჩაუბარებიათ.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ს. ითხვისის ეკკლესია გაუტეხიათ ავაზაკებს და წაუღიათ რამდენიმე ნივთები. ავაზაკები ჯერ არ აღმოუჩენიათ.

***

რუსულ გაზეთს „Кавказъ“-ს შეუტყვია, რომ მცირეს ხანში შესრულდება დიდი ხნის სურვილი— საეკკლესიო არხეოლოგიური და ისტორიული მუზეუმის ტფილისში დაარსებისა. ეს მუზეუმი იქნება იმ მუზეუმების მსგავსი, როგორებიც არიან პეტერბურღის და კიევის სასულიერო აკადემიებთან. ამ მუზეუმისათვის საგანგებოთ იქნება შენობა აგებულიო.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქ. ქუთაისში წმ. გიორგის ეკკლესია გაუქურდავსთ. ფულათ ეკკლესიაში ერთი მანეთის მეტი არ ყოფილა და ის წაუღიათ. სხვა საეკკლესიო ნივთებისათვის ხელი არ უხლიათ. ავაზაკები დღესაც არ აღმოუჩენიათ.

---

# ანგარიში

## შემოსრულის, დახარჯულის და დანარჩენის ფულებისა ქუთაისის სასულ. სასწავლებლისა, შემოტანილისა ეპარქიის სამღვდელოებისგან, ეკკლესიებიდგან, მონასტრებიდგან და სხ. პირებიდგან 1883 წ.

### მუხლნი შემოსავალთა.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1882 წლიდგან გარდმოტანილ არს დანარჩენი ფული 1883 წელში კრედიტის ბილეთებით . . . . . . | 11,171 | |
| ნაღდი ფული. . . . . . . . | 3,984 | 27 11/18 |
| 1883 წელში შემოვიდა: | | |
| 1, იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებისაგან . . . . . . . . | 10,112 | 94 |
| 2, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესისა საქართველოს ეგზარხოსის პავლესაგან ღარიბთა და ნიჭიერთა მოწაფეთა დასარიგებლად . . . . . . | 25 | |
| 3, ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან ღარიბთა და ნიჭიერთა მოწაფეთა დასარიგებლად. | 18 | |
| 4, ბლაღოჩინის მღვდლის დ. ღამბაშიძისაგან ერთი წიგნისთვის. . . . | | 30 |
| 5, აპტეკარის პ. კოკოჩოვისაგან . . | 209 | 43 |
| 6, საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან %. . . . . . . . | 117 | 6 |
| 7, კუპონების ბილეთთა, რომელნიც ეკუთვნიან სასწავლებელს . . . . | 100 | |
| 8, საერო წოდების პირთა შვილებისაგან. | 2,034 | |
| და სრულიად . . | 12,616 | 73 |
| დანარჩენთან ერთად . . | 27,772 | 11/18 |

### განმარტება.

ჯამი ესე შემოსულ არს შემდგომთა პირებთაგან:

| | მან. | კაპ. | გვირგვინებისა. მან. | გვირგვინებისა. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1, ბლაღოჩინის მღვდლის ნ. კუბანიევისაგან 1883 წლისა . . . | 62 | 80 | | |
| მისგანვე იმავე წლისა . . . | 30 | | | |
| გვირგვინის ფული . . . . | | | 6 | 48 |
| მღვდლის ლუკა ჩაჩუასაგან 10 მაისს 1882 წლისა. . . . . | 201 | 70 | | |
| მისგანვე 4 ივლისს № 77 1883 წ. | 146 | | | |
| და სრულიად. . . | 440 | 50 | 6 | 48 |
| 2, ბლაღოჩინის მღვდლის ერმ. ვეფხვაძისაგან 12 დეკემბ. № 207 . . | 778 | 68 | | |
| 3, ბლაღოჩინის მღვდლის დ. ღამბაშიძისაგან 19 დეკემბ. № 197 1883 წ. | 192 | 60 | | |
| 23 დეკემბ. № 201 1883 წლისა. | 215 | | | |
| და სრულიად. . . | 407 | 60 | | |
| 4, ბლაღოჩინის მღვდ. კაქახიძისაგან 18 აგვისტ. № 111 1882 წლისა. | 306 | 58 | | |
| 24 დეკემბ. № 145 1883 წლისა. | 250 | | | |
| 31 დეკემბ. № 147 1883 წლისა. | 300 | 95 | | |
| 15 დეკემბ. № 137 1883 წლისა. | | | 34 | 18 |
| და სრულიად. . . | 857 | 53 | 34 | 18 |
| 5, ბლაღოჩინის მღვდ. ძოწენიძისაგან 1882 წლისა . . . . . . | 200 | | | |
| 30 იანვარს № 4 1882 წლისა . | | | 34 | |
| და სრულიად. . . | 200 | | 34 | |
| 6, ბლაღოჩინის მღვდ. გეორგობიანისაგან 8 მარტს 1882 წ. № 18 . | 374 | 25 | | |
| 8 მარტს 1882 წ. . . . . | | | 26 | 65 |
| 14 მაისს № 29 1883 წლისა . | | | 24 | 84 |
| და სრულიად . . | 374 | 25 | 51 | 49 |
| 7, ბლაღოჩინის მღვდ, გერსამიასაგან 20 მაისს № 72 1882 წლისა . | 244 | 75 | | |
| 27 ივლისს № 115 1882 წ.. . | 95 | 18 | | |
| 28 დეკემბ. № 199 1883 წ.. . | 491 | 75 | | |
| და სრულიად . . | 831 | 68 | | |

## განმარტება შემოსავალთა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8, ბლაღოჩინის მღვდ. ი. წერეთლისაგან 1882 წლისა . . . . . | 446 | 75 | | |
| დანაკლისი ფული 1881 წლისა. . | 20 | | 32 | 80 |
| და სრულიად . . | 466 | 75 | 32 | 80 |
| 9, ბლაღოჩინის მღვდლის გ. ასათიანისაგან 14 იანვ. № 23, 1881 წ. . | 44 | 85 | | |
| 11 ფებერვ. № 76, 1882 წლისა . | 55 | 99 | | |
| 13 — — 83, — — . | 136 | 20 | | |
| 14 — — 86, უფრო შეძლებული ეკკლესიებიდგან. . . . | 20 | | | |
| მღვდლის ასათიანისაგან 1883 წ.. | 242 | | | |
| და სრულიად. . | 499 | 4 | | |
| 10, ბლაღოჩინის მღვდლის ს. მიქიევისაგან 1879—82 წ. . . . | 119 | 5 | | |
| 1883 წლისა . . . . . . | 388 | 35 | | |
| და სრულიად . . | 507 | 40 | | |
| 11, ბლაღოჩინის მღვდ. ჩხენკელიისაგან 27 აგვისტ. № 130, 1882 წ, . | 301 | | | |
| და სრულიად . . | 301 | | | |
| 12, ბლაღოჩინის მღვ. კლდიაშვილისაგან: დეპუტატის მღვდლის სალაძისაგან 1882 წლისა . . . . | 104 | | | |
| მისგანვე 1882 წლისა. . . . | 60 | | | |
| — — — . . . | 41 | 20 | | |
| მღვდლის ჩუმბურიძისაგან 1882 წ. | 138 | 25 | | |
| — 1881 და 1882 წწ. . | 30 | | | |
| და სრულიად . . | 373 | 45 | | |
| 13, ბლაღოჩინის მღვდლის კიკაჩეიშვილისაგან: დეპუტატის მღვდლის გორდულაძისაგან 1881—82 წწ. . | 77 | | | |
| მისგანვე გვირგვინის ფული . . | | | 9 | |
| დეპუტატის მღვდლის წივწივაძისაგან 1882 წ. . . . . . . . | 99 | 75 | | |
| მღვდლის ფანცხავასაგან 1883 წ.. | | | 30 | 50 |
| და სრულიად . . | 176 | 75 | 39 | 50 |
| 14, ბლაღოჩინის მღვდლის ი. ჭეიშვილისაგან: 20 იანვარს № 14 . | | | 17 | 85 |
| 23 ფებერვალს № 46, 1882 წ. , | 53 | 75 | | |
| 27 მარტს № 78, 1882 წ. . . | 7 | 60 | | |
| 1876—80 წ. დანაკლისი ფული . | 24 | 50 | | |
| დეპუტატის ნასრაძისაგან 1882 წ. | 73 | | | |
| ზაქარია სვანაძისაგან 1882 წ, . | 80 | | | |
| 1882 წლისა . . . . . . | 121 | 75 | | |
| და სრულიად . . | 360 | 60 | 17 | 85 |
| 15, დეკანოზის აბაშიძისაგან: | | | | |
| 14 იანვარს № 12, 1882 წ. . . | 71 | 15 | | |
| 1881 წლისა . . . . . . . | 89 | | | |
| 1880 — . . . . . . . | 122 | 87 | | |
| 1879 — . . . . . . . | 12 | 25 | | |
| 1878 — . . . . . . . | 205 | 30 | | |
| და სრულიად . . | 500 | 57 | | |
| 23 სეკტემბერს 1877 წ. № 101. | 22 | 9 | | |
| 1878 წლისა . . . . . . . | 91 | 94 | | |
| 1879 — . . . . . . . | 9 | 25 | | |
| 1880 — . . . . . . . | 182 | 65 | | |
| 1881 — . . . . . . . | 142 | 77 | | |
| 1882 — . . . . . . . | 102 | 26 | | |
| და სრულიად . . | 551 | 66 | | |
| და სრულიად . . | 1052 | 23 | | |
| 16, ბლაღოჩინის მღვდლის მ. ჯუღელისაგან: 23 ფებ. № 38, 1882 წ. . | 122 | 70 | | |
| 3 დეკემბ. №№ 218, 209 და 220 1883 წ. . . . . . . . . | 393 | 25 | | |
| და სრულიად . . | 515 | 95 | | |
| 17, ბლაღოჩინის მღვდლის მ. მჭედლიძისაგან: 7 ფებერვალს № 17, 1882 წლისა . . . . . . . | 230 | 90 | | |
| 31 დეკემბერს № 300, 1883 წ. . | 623 | 90 | | |
| იმავე დროს 1881 წლისა. . . | 60 | | | |
| და სრულიად . . | 914 | 80 | | |
| 18, ბლაღოჩინის მღვდლის ა. ჭიჭინაძისაგან: 7 იანვ. № 2, 1881 წ. . | 222 | 35 | | |
| 30 ოკტომბ. № 117, 1882 წ. . | 240 | 88 | | |
| 23 ივლისს № 72. . . . . | | | 24 | 30 |
| დეპუტატის მინდელისაგან 1882 წ. | 126 | 40 | | |
| და სრულიად . . | 589 | 63 | 24 | 30 |
| 19, ბათუმის ეკკლესიის წინამძღვრისაგან, დეკანოზი ს. კიკოძისა . . | | | 3 | 50 |
| და სრულიად . . | | | 3 | 50 |
| 20, ქალაქის სამღვდელოებისაგან: | | | | |
| დეკანოზის რ. გიგაუროვასაგან 1881 და 1882 წწ. . . . . . . | 75 | | | |
| დ. შელიავასაგან 1882—1883 წწ. | 46 | | | |
| ალექსანდრო-ნევის ქუთაისის სობოროს კრებულისაგან 1882 წ. . . | 50 | | | |
| სანთლის ფული . . . . , . . | 50 | | | |
| და სრულიად . . . | 221 | | | |
| სულ ჯამი შემოსავლისა. . . . | 9,868 | 84 | 244 | 10 |

## მ ე ხ ლ ნ ი გ ა ს ა ვ ლ ი ს ა:

| დ ა ი ხ ა რ ჯ ა: | სმეტით დანიშნუ. მან. | დაიხარჯა. მან. | დაიხარჯა. კაპ. |
|---|---|---|---|
| ეპარხიის სამღვდელოებისაგან წარმოდგენილი ფულებიდგან. | | | |
| ა) ოთხი პარალლელნის და ექვსი მოსამზადებელის კლასების შენახვაზედ . . . . . . | 8690 | 8077 | $78\frac{22}{27}$ |
| ბ) ორს ნადზირატელს . . . | 1000 | 1000 | |
| გ) ბიბლიოტეკარზედ . . . | 100 | 100 | |
| დ) კომმისარზედ . . . . | 144 | 144 | |
| ე) კანცელარიაზედ. . . . | 70 | 70 | |
| ვ) საავათმყოფოზედ . . . | 200 | 234 | 84 |
| ზ) პარალლელნის და მოსამზადებელის კლასების შენახვაზედ, ე. ი. შეშისათვის და მოსამსახურეებზედ . . . . | 400 | 429 | $39\frac{1}{2}$ |
| ჱ) მიეცათ დადგინებისაებრ სამღვდელოებას მე-XVIII კრებასა მასწავლებელთა: ა. ბენაევს და ი. მატარაძეს მე' ამედი წლიურის ჯამაგირისა ჯამაგირში ჩაურიცხავად. . | | 280 | |
| თ) სასწავლებლის ღარიბეს შეგირდების ერთ დროებით შესაწევნელად. . . . . | 500 | 405 | |
| ი) ბიბლიოთეკაზედ . . . | 100 | 99 | 98 |

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა გ ა ს ა ვ ლ ი ს ა:

ამ ფულებიდგან მიეცათ მასწავლებლებს: სამღრთო ისტორიის და კატეხიზმოსას 701 მან. $55\frac{2}{3}$ კაპ.; რუსული ენისას 1955 მ. $34\frac{4}{27}$ კაპ.; ქართული ენისას 1064 მ. 60 კ.; არითმეტიკის და გეოგრაფიისას 1300 მ.; ლათინური ენისას 760 მ. და 65 კ.; ბერძნული ენისას 405 მ. და $10\frac{2}{3}$ კაპ.; გალობისას 366 მ. და $66\frac{2}{3}$ კ.; წერისას 308 მ. და $66\frac{2}{3}$ კ. და პირველი მოსამზადებელი კლასებისას 1215 მან. და 20 კაპ.

მურადოვს 2 მ. 10 კ. სამ დესტ. მინისტრ. ქაღალდში, 35 კ. ფეროვანს კარანდაშებში, 2 მ. ორ კორობკა კალმებში. 5 მ. 70 კ. ერთს სტოპა № 4 ქაღალდში, 2 მ. 60 კ. ერთ სტოპა № 7 ქაღალდში, 55 კ. ერთ კორობკა ლუქში № 1, 1 მ. 90 კ., ერთ კორობკა სამძლვარ გარეთულის ლუქში, 40 კ. ათს კალმის ტარებში, 30 კ. ერთს ძვლის ტარში, 10 კაპ. ხუთს დიდ კონვერტში, 15 კ. კარანდაშში, 10 კ. კალმის ტარში და სულ თექვსმეტი მან და ოცდა ხუთი კაპ.: მელანში 40 კ.

პ. წულუკიძეს შემოსავალ-გასავლის 200 ბლანკში 4 მან. და 12 მან. ეკონომიური ანგარიშის დასაბეჭდათ 1881 წლისა, ზედგინიძეს და ფერაძეს 1800 დასათხოვნელი ბილეთების დასაბეჭდათ 15 მან., 50 ბლანკის წიგნისთვის და 100 ფორმულიარებისთვის 4 მან. 50 კ., 5000 ბიბლიოთეკის წიგნებისთვის 12 მან., ტიპოგრაფიის შემნახველს პ. წულუკიძეს საკლასო ჟურნალების დაბეჭვდაში 5 მან. და 85 კაპ.

აპტეკარს ვიტუშინსკის 1882 წელში მისგან წამოღებულ წამლებში 11 მან. 67 კაპ., აპტეკარს ა. კოკოჩოვს 1883 წელში მისგან წამოღებული წამლებში 209 მან. 43 კაპ., ავათმყოფი შეგირდებისთვის ნაყიდს ლომში 42 კაპ., ღვინოში 1 მან. 5 კ. ხორცში 2 მან. 26 კაპ., 6 ქათამში 1 მან. 30 კაპ., რძეში 2 მან. 52 კაპ., ზეითუნი და კომფორის ზეთში 3 მან. 52 კაპ., 3 გირვანქა შაქარში 63 კაპ., ერთ გირვანქა სანთელში 34 კაპ., შაბში (კიტრის წნილში) 15 კაპ., ჩაიში 5 კაპ., 3 ლამფაში 1 მან. და კლიონკაში 50 კაპ.

მიეცათ ჯამაგირი მოსამსახურეთ 146 მან. $64\frac{1}{2}$ კაპ., შეშის მომტანს გეორგობიანს 200 მან. შეშაში, დურგალს ა. გოწაძეს 14 მან. 25 კაპ.: 14 კლასის დაფების შეღებვაში 9 მან. 75 კოპ., ორი დაფის დახაზვაში 2 მან. 50 კოპ., 9 მასწავლებლის სკამების შეკეთებაში 2 მან.; ს. გვეტაძეს 67 საშეგირდო პარტების შეკეთებაში და შეღებვაში 58 მან. და 50 კაპ.

მიეცათ: მ. კელენჯერიძეს, ე. ჯავოშვილს და გ. აბესაძეს 30 მან. თითოს: ფ, დეკანოსიძეს, ბ. არეფაძეს, ს. შუბლაძეს, ლ. მუსერიძეს, ი. კახაიას, ფ. ლორთქიფანიძეს და მ. მუსერიძეს 25 მან. თითოს; გ. კიპშიძეს, რ. კაპანაძეს, კ. გაბდაძეს, დ. მაღლაპერიძეს, ა. კუბლაშვილს და ე. აბესაძეს 20 მ. თითოს; ს. ტყემალაძეს, თ. გველესიანს 15 მან. თითოს და ა. გოგორიშვილს 10 მან.

გაეგზავნა ,,Семейные вечера‘‘ ჟურნალის რედაქციას 10 მან. ,,Дѣтскій отдыхъ‘‘ ჟურნალისას 6 მან., ,,Родникъ‘‘-სას 6 მან., ,,Дѣтское чтеніе‘‘-სას 6 მან. 75 კაპ. და ამ ფულების გასაგზავნი დაიხარჯა 43 კაპ., მიეცა წიგნის მაღაზიის პატრონს ჭილაძეს 50 კაპ., ღვთის მსახურების ლექსიკ. 1 მ. 50 კ.

## მუხლნი გასავლისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| კ) სასწავლებლის ექიმს. . . | 250 | 250 | |
| ლ) სასწავლებლის ფერშალს . | 180 | 180 | |
| მ) შემთხვევით დანახარჯი ფული | 50 | 36 | 66 |
| ზვირგვინაკების და შესანდობელი ლოცვის ფურცლებში შემოსრული ფულიდგან . . . | | 151 | 73 |
| და სრულიად. . . | | 11459 | 38 |
| საერო წოდების პირთა შვილებიდგან, და მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის პავლესაგან (წარმოგზავნილი) შემოსრული ფულებიდგან . . . . . . . | | 2782 | 86 |
| და სრულიად. . . | | 14242 | 25 17/54 |

## განმარტება გასავლისა:

ბოლოსლოვსკის ლექსიკონში, 15 კაპ. მიხაილოვსკის „წმიდა საიდუმლოებაზედ“ წიგნში, 15 კაპ. ყივოტოვსკის წიგნში „О теплѣ и возоухѣ холодѣ“, 15 კაპ.—„О дождѣ и снѣгѣ“ მისავე, 3 მან. за полушарія, 1 მან. 20 კაპ. за типы, 1 მ. ანტონოვის თხზულებაში, 2 მან ერისთვის თხზულებაში, 60 კ. წიგნში „მეფე ლირი“, 50 კაპ.—„თამარ ბატონიშვილი“, 20 კაპ.—„სურამის ციხე“, 30 კაპ. გ. ორბელიანის ლექსებში, 20 კაპ. ბარათაშვილის ლექსებში, 20 კაპ. ხომლში-ლექსთა კრებაში, 25 კაპ.—„გაზაფხული“, 25 კაპ.—„ზაფხული“, 20 კაპ. აკაკი წერეთლის ლექსებში, 1 მან. რ. ერისთვის ლექსები, 30 კაპ- ერისთვის „იგავ-არაკში“, 50 კაპ. ალ. ორბელიანის ნაწერებში და ლექსებში, 10 კაპ. ანტონ ფურცელაძის თხზულებაში „ბაგრატიონის დიდება“, 20 კაპ. — „თამარ დედოფალი“, 40 კაპ. ილია ჭავჭავაძის თხზულებაში „კაცია-ადამიანი“, 15 კაპ.—„დიმიტრი თავდადებული“, 15 კაპ. რამდენიმე სურათში, სხვა-და-სხვა პატარა წიგნებში და თხზულებაებში მიეცა სამოცდა ერთი მანეთი და თერთმეტი შაური.

მიეცა ვაჭარს დ. კვარიანს 10 ხატში 27 მან., ხელმწიფის კურთხევის თაობაზედ ილლიუმინაციისთვის მოხმარებულია 9 მ. 66 კაპ.,

მიეცა, მოწერილობისამებრ ყოვლად უსამღვდელოესის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, 19 იანვრიდგან 1883 წ. № 197, საგუბერნიო ტიპოგრაფიის პატრონს პ. გობეჩიას 12,000 ფურცელი შესანდობელი ლოცვისა 120 მან. თანხმად სასწავლებლის სამმართველოს ჟურნალისა წარგზავნილ არს მოსკოვის სინოდალურ ტიპოგრაფისა შინა გვირგვინაკებში 31 მან. 50 კ. გასაგზავნი ამ ფულისა დაიხარჯა 23 კაპ.

ორ-სართულიან ქვის საავათმყოფოს სახლის აშენებაზედ დაიხარჯა 2,683 მან 81 კაპ., გამოსაწერად სხვა-და-სხვა პედაგოგიური შინაარსის წიგნებისა დაიხარჯა ოცდა ოთხი მან. და 1 კაპ., მიეცა ტიპოგრაფიის პატრონს პ. წულუკიძეს საკლასო ჟურნალების დასაბეჭდათ 37 მ. 15 კ., გაზ. „მწყემსის“ რედაქტორს ეკონომიური ანგარიშის დაბეჭვდაში 12 მან., მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის პავლესაგან შემოწირული 25 მანეთიდგან მიეცათ: ვ. კაპანაძეს, მ. კაკუშაძეს, ლ. ლორიას და ვ. მოსეშვილს 3 მან. თითოს, ს- აბხაიძეს, ვ. ბარათაშვილს, ს. მიხელიძეს და ე. ჯავაშვილს 2 მ. თითოს, და მ. გოზავაძეს 5 მან.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ნიკოლოზ ტატიევი.

თანაშემწე ივანე გაფრინდაშვილი.

Членъ Пр. учитель *Θедоръ Боголюбовъ.*

# განცხადება.

დამზადდა და ხუთ დღეში გამოვა გასასყიდლად ქართული მხედრული ვრცელი

# ლოცვანი,

საჭირო და სასარგებლო ყოველ მართლ-მადიდებელ აღმსარებელ პირთათვის, შედგენილი მღ. დ. ღამბაშიძის მიერ. შინაარსი ამა ლოცვანისა:

დილის ლოცვანი; ლოცვანი ძილად მისვლისა; შემოკლებული დილის და საღამოის ლოცვები; ხაყოველდღეო სახმარნი ლოცვანი; ათი მცნება; ცხრა ნეტარება; ლოცვა მეფისა; ლოცვა ცოცხალთა და გარდაცვალებულთა და ჯვარისა; ლოცვანი და კეთილ-კრძალულებითი გულის ზრახვანი შესრულების და მოსმენის დროს ლიტურღიისა; მწუხრის ლოცვანი; ცისკრის ლოცვანი; პირველი ჟამის ლოცვანი; ხძლის პირნი დიდ მარხვის ხერობისანი; დიდი ხერობის ლოცვანი; დიდ მარხვის ტროპარები და კონდაკები; რომელი ქერუვიმთას საგალობელი გალობანი; აღდგომის საგალობელნი გალობანი; მცირე ხერობა; ღვთის-მშობლის პარაკლისი; ზიარების ლოცვა; თვეთა მეტყველებანი წლითი წლად; მოძრავი დღესასწაულები; წელთა აღრიცხვა, ქორონიკონი ჩშ-ს წლამდე.

თვეთა მეტყველებაში ყოველ დღესასწაულს თან მიჰყვება მოკლე გასაგები ენით ისტორიული მოთხრობა.

ამ ლოცვანით ყველას შეუძლია ისარგებლოს, როგორც მოსწავლეებს, ისე სხვა პირებს, დიდებს და პატარებს, ვინც კი კითხვა იცის, სამღვდელოს და საეროს.

ფასი ლოცვანისა გაგზავნით და გაუგზავნელად ყველგან ექვსი შაური.

მშვენიერ ყდაში გაკეთებული ლოცვანის ფასი არის ცხრა შაური.

## ლოცვანების ყიდვა შეიძლება:

**ქუთაისში:** ჭილაძის და მურადოვის წიგნის მაღაზიებში და პეტროვის ბიბლიოტეკაში.

**თფილისში:** გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში.

**ზუგდიდში:** დეკანოზ მამა მიხეილ მეუნარგიასთან.

**ფოთში:** ბლაღოჩინ მღვდელ გ. მაჭაროვთან.

**სიღნაღში:** დეკანოზ მამა სიმონ ბეგიევთან.

**ახალციხეში:** ბლაღოჩინ მღვდელ გრიგორ დავიდოვთან.

ვინც „მწყემსის“ რედაქციიდამ დაიბარებს არა ნაკლებ ორმოცდა ათი ეკზემპლიარისა, მას მანეთზედ დაეთმობა **ხუთი კაპეიკი.**

*Дозв. цензурою Кутаисъ, 14 Ноября 1884 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. სწრაფმბეჭდავი ზედგინიძის და ფერაძის.